გ) აცნობოს დამკვეთს სამუშაოს შესასრულებლად საჭირო მასალების ჩამონათვალი და სამუშაოს შესრულების ერიოდში დროულად აცნობოს დამატებითი მასალების წარმოდგენის საჭიროების შესახებ;

დ) აცნობოს დამკვეთს წერილობით სამუშაოს შესრულების პროცესში რაიმე პრობლემის არსებობის ან სავარაუდოდ მისი არმოშობის შესახებ, რამაც გამოიწვია ან შეიძლება გამოიწვიოს სამუშაოს შეფერხება ან ობიექტური მიზეზების გამო აჭირო ხდება სამუშაოს შესრულების ვადის გაგრძელება.

2. შემსრულებელი უფლებამოსილია:

ა) მოითხოვოს დამკვეთისგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული და ჯეროვანი შესრულება;

ბ) საექსპერტო სამუშაოს შესასრულებლად საჭირო მასალების სრულად წარმოუდგენლობის შემთხვევაში უარი განაცხადოს ამუშაოს შესრულებაზე და დააბრუნოს საქმე შეუსრულებლად ამის შესახებ დამკვეთისთვის შეტყობინებიდან 15 დღის ადაში;

გ) შეაჩეროს ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს შესრულება, თუ ეს გამოწვეულია დამკვეთის მიზეზით.

მუხლი 5. დამკვეთის უფლება-მოვალეობები

1. დამკვეთი ვალდებულია:

ა) დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

ბ) ხელი შეუწყოს შემსრულებელს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებაში;

გ)სრულყოფილი სახით წარმოადგინოს საექსპერტო სამუშაოს შესასრულებლად საჭირო მასალები ან/და უზრუნველყოს ექსპერტის ან სპეციალისტის დაშვება ობიექტზე.

2. დამკვეთი უფლებამოსილია:

მოითხოვოს შემსრულებლისგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული, ხარისხიანი და ჯეროვანი შესრულება.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

1. მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტით მეორე მხარისათვის მიყენებულ ზიანზე.

2. თუ დამკვეთი უარს განაცხადებს შემსრულებლის მიერ ჩატარებული სამუშაოს გაგრძელებაზე ან მომზადებული საექსპერტო დასკვნის ჩაბარებაზე, იგი არ თავისუფლდება ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს საფასურის გადახდისგან.

3. თუ შემსრულებელი თავისი ბრალით ვერ დარღვევს ხელშეკრულებით განსაზღვერული სამუშაოს შესრულების ვადას და ამით დამკვეთს მიადგება რაიმე სახის მატერიალური ზიანი, იგი პასუხს აგებს მიყენებული ზიანისათვის.

მუხლი 7. ხელშეკრულების მოქმედება

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

მუხლი 8. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულება ავტომატურად წყდება:

ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებისთანავე;

ბ) იურიდიული პირის ლიკვიდაციის ან ფიზიკური პირის შემთხვევაში, თუ მათ არ ჰყავთ სამართალმემკვიდრე ან უფლებამონაცვლე.

2. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ნებისმიერად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშლკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

3. მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე ან უარი განაცხადონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, თუ მეორე მხარე არ ასრულებს ამ ხელშეკრულებით ჰასზე დაკისრებულ მოვალეობას.

მუხლი 9. დავის გადაწყვეტა

მხარეები ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილ დავებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავების გადასაწყვეტად [illegible] ხელშეკრულების კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 10. ფორს მაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით საკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით მეორე მხარისათვის მიყენებული ყოველგვარი ზიანის ანაზღაურებისგან, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული სიტუაციით.

მუხლი 11. დასკვნითი დებულებები

განცხადება/ხელშეკრულება შედგ[illegible] ერთ[illegible] ეგზემპლარად, რომელიც რჩება ბიუროში, ხოლო დამკვეთს გადაეცემა განცხადება/ხელშეკრულების სათანადო [illegible] ასლი. ორივეს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

მხარეთა რეკვიზიტები:

მიმწოდებელი:
დასავლეთ საქართველოს სასამართლო
ექსპერტიზის რეგიონული დეპარტამენ[illegible]
უფროსი

კობა ახვლედიანი

საბანკო რეკვიზიტები:
სს "ლიბერთი ბანკი" ც/ფ.
ბ/კ: LBRTGE22. ა/ნ: GE59LB012111315[illegible]
ს/კ: 204852089

თარიღი: [illegible]

30.09.11

დამკვეთი: [illegible]
ბნად. ი. ოქტრის ქნ. [illegible] N2 [illegible]
[illegible] 2.ქ

პირ/მოწ/პირ № 3 0281848
NG0002019382

(ხელმოწერა)

212850155

თარიღი: 16.09.2011